

ოცნების ქალაქში მცხოვრები ქალების უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები და მათი  
პრობლემები

მელანო მახარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად  
სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

განაცხადი

*„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორთა მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების მიხედვით.“*

*მელანო მახარაძე*

*27.06.217*

### აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემაა , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კერძოდ კი „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები უსახლკარო ადამიანების მდგომარეობის დეტალურად შესწავლა, კონკრეტულად აქ მცხოვრები ქალების მდგომარეობის გაცნობა საზოგადოებისთვის, საკვლევი პრობლემის გამომწვევი მიზეზები ამ სამ ჯგუფში. 1 ქალები რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებით, 2 მატოხელა დედები , 3 მარტოხელა ქალები. გარდა ამისა კვლევის მიზანს წარმოადგენს, იმის გაგება თუ რას ნიშნავს აქ მცხოვრები ხალხისთვის უსახლკარობა, რა პრობლემას უქმნით ქალებს აქ ცხოვრება, რა ზეგავლენას ახდენს უსახლკარობა მათი და მათი შვილების მდგომარეობაზე, როგორი საცხოვრებელი პირობები აქვთ (კვება, ჰიგიენა, ჯანმრთელობა, როგორ იკმაყოფილებენ პირველად და მეორად საჭიროებებს და სხვა) ამ ქალაქში მცხოვრებლების პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფოს დამოკიდებულება, რა სახის შემწეობას იღებენ ისინი სახელმწიფოსგან და მომავლის იმედები და ბედნიერების განცდა. ასევე ნაშრომის საკვლევი საკითხი მოიცავს სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო სტანდარტებს , რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს პრობლემის ამ პრობლემის მოსაგვარებლად, არსებულიადგილობრივი სამართლებრივი ინსტიტუტების მუშაობის და სოციალური პოლიტიკის ხარვეზებს, უსახლკარო პირთა დეფინიციის არ არსებობის პრობლემას და მათი მონაცემების ბაზების არ არსებობის შედეგებს, უსახლკარობის

გამომწვევ პიროვნულ და სტრუქტურულ მიზეზებს, უსახლკარობის ინტერვენციის მოდელს სხვა ქვეყნებში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საკითხის როგორც რაოდენობრივად გაზომვა, ასევე სიღრმისეულად შესწავლაც, გამოვიყენებ კვლევის თვისებრივ მეთოდს, გამოვიყენე ნარატიული სტრუქტურირებული კითხვარი, დახურული და ღია კითხვების შემცველი ანკეტა, რომელიც ჩატარდა ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. კითხვარი შედგება დემოგრაფიული მახასიათებლები, უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქცევითი პატერნები, სოციალური კომპეტენტურობა, ოჯახური სისტემა, მოლოდინები და ზოგადი კითხვები რომლებიც არის ღია. ეს მეთოდი ავირჩიე რათა რესპოდენტმა უფრო სიღრმისეულად შმლოს თავისი პოზიციის გამოხატვა. კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ უსახლკარობის გამომწვევი მიზეზის უმრავლესობა სტრუქტურული მიზეზითაა გამოწვეული, თუმცა საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უსახლკარობა სტრუქტურული და პიროვნული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია, ასევე იმ მიზეზების ერთობლიობა რომლებმაც შესაძლოა არა პირდაპირ მაგრამ მაინც შეუწყობელი მათ უსახლკაროდ დარჩენას, მიუხედავად იმისა რომ რესპოდენტები ამ წვრილმან მიზეზების არსებობას თვითონ უსახლკარობის ფაქტს ვერ უკავშირებდნენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები : უსახლკარობის პრობლემა, მიზეზები, უსახლკარობის რისკ ფაქტორები, ოცნების ქალაქის პრობლემები, უსახლკარო პირთა მახასიათებლები, მათი საეთო პრობლემები და საჭიროებები. რა გავლენას ახდენს უსახლკარობა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რას მოიცავს საცხოვრებლის უფლებები და უსახლკარობის მოდელი სხვა ქვეყნებში.

## Abstract

The research topic of this master's thesis is to study the situation of the homeless people, living in the Adjara autonomous republic, particularly the people living in the "dream city", to study their situation in detail, particularly informing the situation of the women living there, to the society. The reasons for the research problem in these three groups: 1. women living with families 2. single mothers. 3. Lonely women. Besides, the purpose of this research is to understand what does the homelessness mean for this people, what are the problems for women living here, what impact has their homelessness on their and their children's conditions, what kind of living conditions they have ( nutrition, hygiene, health, how they satisfy their first and secondary needs, etc).The attitude of the state to solve the problems of people living in this city, what kind of benefits they receive from the state and the hopes of the future and the feeling of happiness. The research issue also includes international standards for the right to a proper housing, what obligations has the state to solve this problem, the local legal institutions work and social policy gaps, the problem of lack of definition of homeless people and the results of non existence of their data bases, the personal and structural causes of homelessness, models of homelessness interventions in other countries. Based on the research purposes, taking into consideration the quantitative measurement of the issue, as well as in-depth study, I will use the qualitative method of research, use a narrative structured questionnaire, a card containing closed and open questions using an interview method. The questionnaire consists of demographic characteristics, causes of homelessness dependence on substances, health condition, behavioral patterns, social competence, family system, expectations and general questions which are open. I have chosen this method to make the respondent express its position more intensely. This research revealed that the majority reasons of the homelessness is caused by the structural reasons, but in the end we can say that homelessness is the result of structural and personal factors, as well as combination of the reasons that may not directly but still supported them to stay homeless, in spite of the fact that respondents could not link these reasons to the fact of the homelessness.

Search keywords: problems of homelessness, reasons, homelessness risk factors, dream city problems, characteristics of homelessness persons, their common problems and needs, what impacts homelessness has on the health of society, what are the housing rights and homelessness models in other countries.

## მადლობა

ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ შორენა სამაგლიშვილს, კვლევის ყველა ეტაპზე დახმარებისთვის. წარმოუდგენელი იქნებოდა ამ ნაშრომის მომზადება მისი რჩევებისა და უდიდესი მხარდაჭერის გარეშე.